საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №156/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 9 სექტემბრის №156 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №156/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის ვადების დარღვევაზე, რითიც დაერღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2014 წლის 17 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- სამსახურის, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს -- -- სამხარეო სამმართველოს, მესამე პირის - -- -- მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის/გამოცემის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით, -- --, როგორც -- -- უფლებამონაცვლე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩაბმულ იქნა საქმეში მესამე პირად. -- -- სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა სრულად.

2.2. -- -- 2016 წლის 21 აპრილს -- -- სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.3. -- -- და -- -- 2018 წლის 15 მარტს -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 8 დეკემბრის განჩინება გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქმის განაწილების ელექტრონული წესის შესაბამისად, 2018 წლის 19 მარტს, საკასაციო საჩივრები განსახილველად დაეწერა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 29 მარტის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი (სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 29 მარტის განჩინებით, დაუშვებლობის გამო, -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც -- -- სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს 23/03/2016 გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული და სააპელაციო პალატას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეუცვლია, არ არსებობს -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 7 მაისის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 29 მარტის და 7 მაისის განჩინებები მხარეებს გაეგზავნათ 05/06/2018, 06/06/2018, 07/06/2018 და 19/07/2018 თარიღებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და დაინიშნა განხილვა მხარეთა დასწრებით.

საქმეში არსებული სატელეფონო აქტების თანახმად, მხარეებს ეცნობათ საკასაციო საჩივრის მხარეთა დასწრებით განხილვის დღე - 2019 წლის 28 ნოემბერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, -- -- ადვოკატის 2019 წლის 26 ნოემბრის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული სატელეფონო აქტების და სასამართლო უწყების თანახმად, მხარეებს ეცნობათ საკასაციო საჩივრის მხარეთა დასწრებით განხილვის მორიგი დღე - 2019 წლის 5 დეკემბერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები: -- --, -- --) 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, ზეპირი მოსმენის გარეშე, -- -- საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08/12/2017 განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.4. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე უნდა შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა:
- 2018 წლის მდგომარეობით - 785 საქმე, საიდანაც დასრულდა - 396 საქმე (50%);
- 2019 წლის მდგომარეობით - 727 საქმე, საიდანაც დასრულდა - 353 საქმე (49%).

ამასთან, მხედველობაშია მისაღები 2018-2019 წლებში პალატის სხვა მოსამართლეთა მიერ დასრულებულ საქმეთა სტატისტიკური მონაცემები, რა დროსაც მოსამართლე -- -- არ იყო მომხსენებელი, მაგრამ მონაწილეობდა მის განხილვაში:
- 2018 წლის მდგომარეობით - 874 საქმე;
- 2019 წლის მდგომარეობით - 616 საქმე.

2.5. მოსამართლე -- -- 2019 წლის 10 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარადგინა მოსაზრება -- -- საჩივართან დაკავშირებით. მოსამართლე -- -- აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოში ორჯერ დანიშნული ზეპირი სასამართლო სხდომა არ ჩატარდა, ერთხელ მხარის -- წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო მეორედ ყველა მხარის გამოუცხადებლობის გამო, რის შემდგომაც, საქმე განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 9 სექტემბრის №156 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევაზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მხრიდან შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

საქმის განხილვის საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiecre and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო საჩივარი (-- ნაწილში) დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში 2018 წლის 7 მაისს, ხოლო 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად (1 წლის, 6 თვისა და 6 დღის ვადაში) და 2019 წლის 9 დეკემბერს საქმეზე მიღებულ იქნა საბოლოო განჩინება.

საერთო ჯამში, საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადამ შეადგინა 1 წელი, 6 თვე და 20 დღე, ნაცვლად, კანონით დადგენილი საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო 6 თვიანი ვადისა.

შესაბამისად, იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმებზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ყურადღება გაამახვილა მოსამართლის წარმოებაში აღნიშნული საქმის ყოფნის პერიოდზე, სტატისტიკური მონაცემებზე და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლეზე. გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2018-2019 წლებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა შემცირდა შესაბამისად გაიზარდა მოსამართლეთა დატვირთვაც რასაც არსებული სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საკითხის შეფასების დროს იმსჯელა საპროცესო ვადის დარღვევის არსებითობასა და არასაპატიო/საპატიო მიზეზით დარღვევის შესაძლებლობებზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №156/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი